# სახალხო გაზეთი

№ 1142 სამშაბათი, 18 მარტი 1914 წ. № 1142

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში — მორსკაია 11, ვარშავაში — მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში — ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში — 75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი — 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის ,,სახალხო გაზეთზე"
(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ:
1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.
წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.
მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.
ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.
მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" П. Ящ. 190

,,სახალ. გაზეთის" კანტორა
მოაგონებს წლიურ ხელის მომწერთ,
რომ მეორე ვადა ფულის შემოტანისა
1 აპრილამდეა.

მიიღება ხელის მოწერა
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა მე-5-ე ტომზე.
ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ 23 მარტამდის ტფილისში: „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. გორში სანდრო გძელიშვილთან და ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ჭიათურაში შავი ქვის მრეწველთა კანტორაში გიორგი ნანეიშვილთან და ბათუმში ტრ. ინასარიძესთან.
წმინდა შემოსავლის ნახევარი გადაიდება არჩილ ჯორჯაძის ძეგლის სასარგებლოდ. ფასი ხელის მოწერით 80 კაპ.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალ. სახალხო სახლი
სამშაბათს, 18 მარტს, 1914 წ. სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ ქ-ნი მ. მდივანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:
ალლუმი
კომ. 4 მოქ. ვალ. გუნიასი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. მ. მდივანი, ნარაკიძე, მ. რომანიშვილისა, რუსპირული, ქართველიშვილი, ციმაკურიძე, ხატისკაცი. ბ.ბ. ანაშვილი, არშაკუნი, ნ. ვაჩნაძე, გოცირიძე, ზურაბიშვილი, ივერელი, მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ვ. ნინიძე, რომანიშვილი, რატიშვილი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი 5 კ. 50 მ—დე.
შემდეგი წარმოდგენა 22 მარტს. რეჟ. თანაშემწე: ალ. გუგუშვილი.
ქარ. სახ. წარმ. მმართ. წრის ადმინისტრაცია. 1002

ახალი კლუბი
სამშაბათს, 18 მარტს,
საოჯახო საღამო
„ახალ კლუბთან" არსებული დრამატ. ხელოვნებ. მოყვარეთა მიერ, ვ. ფ. კომისარჟევსკის თეატრის მსახ. ქალის ქ-ნ ტიზენგაუზენის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება.
1) ლოკოკინა, მინიატ. 1 მოქ. | 2) ფიფი, დრამ. ეტიუდ. 1 მოქ. ფ. ფილიპისა.
3) „რომანტიკოსები", 1 მოქ. კომედ. ე. როსტანისა.
ორკესტრი „ახალი კლუბისა" პრესმანის ლოტბარობით.
მონაწილეობენ: ქ-ნნი: დორფმანი, ვ. მარკევიჩი, დ. სკლიაროვისა, ვერა ტიზენგაუზენი; ბ-ნები: თ-დი ბეგთაბეგოვი, ს. ბუტენკო, ნ. კატერინიჩი, მ. ქორელი და ი. სვობოდინი.
სტუმ. კლუბში შესასვლ. იხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კაპ.
გალერეია ყველასათვის ხელმისაწვდომია. 1095

სამანუფაქტურო მაღაზია
მ. გ. აბაშიძისა 1023
გადავიდა იმავე თამამშევის ქარვასლაში, ერევნის მოედანზე, სასახლის ქუჩის დასაწყისში, სამხედრო შტაბის პირდაპირ,
სადაც მიღებულია ყოველ-ნაირი ახალი საქონელი.
ფასები ძლიერ ხელმისაწვდომად და შეუვაჭრებლად.
შაბათობით ნაჭრების დიდი იაფობა.

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა 1094
ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

ი. დ. მამულაიშვილი
შუაბაზარი, მანთაშოვის ქარვასლა №№ 20—21.
აუწყებს ბ.ბ. მუშტრებს, რომ ახლად გახსნილ მაღაზიაში მომავალ გაზაფხულსა და ზაფხულისათვის მიღებულია, სხვადასხვანაირ მოდის სამანუფაქტურო საქონელი, როგორც რუსეთის, ისე საზღვარ-გარეთის ცნობილ ფირმებისა.
მაღაზიაში მოიპოვება
შემდეგი საქონელი:
მაუდეულობა, | ტილოეულობა,
შალეულობა, | ბამბეულობა,
აბრეშუმეულობა, | ხალიჩები,
ტიული, | და სხვა და სხვა.
სრულის პატივისცემით, ს. მ. კირაკოზოვის და ბ. გ. ოგანოვის მაღაზიის მაუდეულობის განყოფილების გამგედ ნამყოფი
ილია დავითის ძე მამულაიშვილი. 1121

საერო ტელეფონი № 720. საერო
კახური ღვინოები ამხანაგობისა
საერო
იყიდება
კავკასიის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში და ყველა სასურსათო, საბაკლეინო და გასტრონომიულ მაღაზიებში.
კანტორა და მთავარი საწყობი ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში. 1108
საერო ტელეფონი № 720. საერო

23 მარტს, დილის 11 საათზე, ხონის სავაჭრო პროგიმნაზიაში დანიშნულია
საზოგადო
წლიური კრება
ხონის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.
განსახილველი საგნები:
1. განხილვა და დამტკიცება 1913 წ. ანგარიშისა.
2. 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
3. შეცვლა წესდების § 71.
4. შუამდგომლობა სახელმწიფო ბანკში კრედიტის მომატებაზე.
5. არჩევანი ერთი გამგეობისა, ორი საბჭოსა და სამი სარევიზიო კომისიის წევრთა, მათის კანდიდატებით. 1113

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვორონცოვის სასტუმროს ახლოს.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებით.
უწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი მ. მ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1. ს.<br>ფედოროვი ი. გ. ყოველ დღე, 11—12.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკოვიჩი მ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერბიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე 11—2.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ვენერიულ სნეულებ. და ველეკ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. ოშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოვი გ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რეაქციისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1070

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე.
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

საზურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ თოლდას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმი გ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11^{1}/_{2}$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.




მიიღება ხელის მოწერა
ბესარიონ
ახოსპირელის
სრული ლექსთა კრებულის და პოემების
დასაკვეთად (200 გვერ.). წიგნს წამძღვარებული ექნება სტუდ. ვახტ. კოტეტიშვილის კრიტიკული წერილი: „ბესარიონ ახოსპირელი და მისი სიმღერა".
დასაკვეთი ფასი—40 კ. წიგნი გამოვა მაისის პირველ რიცხვებში. ხელის მოწერა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—პოეტ ვარლ. რუხაძესთან; ბაქოში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. ბაქოს განყოფილებაში.
პატივისცემით ამხ. „სინათლე".
1079

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:
ილია ჭავჭავაძის
თხზულება.
მიხეილ გედევანიშვილის
გამოცემა, ტფილისი, 1913 წელი, ფასი 10 მანეთი.
ისყიდება აგრეთვე ყოველგვარი ქართული წიგნები: ღვთისმეტყველება, სიტყვა-კაზმული მწერლობა, სიტყვიერების ისტორია, თეორია, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, სახელმძღვანელოები, საყმაწვილო წიგნები. ქართ. სასიმღ. და საგალ. ნოტები, ჩვენი მწერლების სურათები. 1072

შავი-ქვის
მრეწველთა
საბჭო
იწვევს ჭიათურაში საბჭოს
სასწავლებელთათვის
1) სათადარიგო მასწავლებელს, ჯამაგირით — 1320 მანეთი წლიურად.
2) შაგარდენთა გიმნასტიკის მასწავლებელს, ჯამაგირით — 1200 მანეთი წლიურად.
ხსენებულ თანამდებობათა მსურველებმა საჭირო განცხადება და ყოველ-გვარი საბუთები უნდა წარადგინონ ჭიათურაში მრეწველთა საბჭოში, 1914 წლის 10 აპრილამდის.
1112

## გორის პირველი კერძო
# სამკურნალო
**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**
**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა ქვირისა.
**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
**ბრიუკნერი ვ. ვ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
**ვინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.
**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.**
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606", „914".** 1088

# ვაგზლის სამკურნალოში
(**შიხინთვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695**)
მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.
**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.
**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.
**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.
**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.
**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.
**მაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.
ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.
**რჩევის საფასური—50 კაპ.**
**წამლობა „914".** 1023

# სამკურნალო
**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება: დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
**ახვლედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.
**ბელანჯე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
**ბოჟოვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვოროზიხინი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ავადმყ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**შამაში**, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.
**ახპიხოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.
**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
**ჩუდნოვსკი**—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.
**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ ყ.-დღ. 12—1 საათ.
**ექ. ქალ. იოსელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
**ვეინბაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.
**ბაგდოევი**—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.
**სათვალების არჩევა.**
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1082

## ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
# სამკურნალო
## ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**
**ფასი მორიგებით.**
ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

**ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი**
# გ. გ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება ხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბებს** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.**
ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92 1087

# ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12; **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 1011

## ექიმთა საზოგადოების
# სამკურნალო
**მუდმივ საწოლებით.**
(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.
**ტელეფ. № 1026.**
**ავადმყოფების მიღება:**
**აბაჯანოვი მიხეილ** — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.
**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.
**ელჩიევი მ. რ.**—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.
**ელჩიევი ლ. რ.**—ქალის სნეულ. და ბებიობა. 12—1 ს.
**კიმონტი მ. პ.**—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.
**მაგაკიანი მ. ნ.**—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.
სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.
**შეშხაპუნება „914", „606".** 1040

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ნაძალადევში**
**ექიმი** ხუდადოვის ქ., 4.
**ი. რ. სურგულაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. **შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს.** 141

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**
სწამლობს **საშარდე ორ**განოთა, **ათაშანგისა** და კანის ავადმყ. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1080

**ქ. გორში**
**ექიმი** (**დოქტორანტი**).
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1050

**ექიმი პავლე არდაზიანი**
შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022


# ქართული პრესა

ქუთაისში გამოვიდა ახალი გაზეთი „ჩვენი ერი". გაზეთი ფრიად შინაარსიანია, ბევრს საინტერესო მასალას იძლევა და ცოცხლადაა შედგენილი. გაზეთი გამოდის განსაზღვრული მიმართულების დროშით და მეთაურში ასეთნაირად არკვევს თავის სოციალურს და ეროვნულს პროგრამას:

„ჩვენ კლასთა ბრძოლა საზოგადოებრივი განვითარებისა და წინსვლის უდიდეს იარაღათ მიგვაჩნია. ვინც თანამედროვე ევროპის ისტორიას იცნობს, ის დაგვეთანხმება, რომ იქ დამყარებული პოლიტიკური წყობილება, დემოკრატიის განვითარება, ის თავისუფლებანი, რომელიც დღეს ელემენტარულად ითვლება, კლასთა ბრძოლის შედეგია. თვით მშრომელი კლასისთვის იგი ერთადერთი საშუალებაა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. დღეს ევროპაში განვითარებული მუშათა კანონმდებლობა მუშათა ბრძოლით არის შექმნილი, პარლამენტი მხოლოდ ადასტურებს რეალურ ძალთა განწყობილებას. ამასთანავე არ შეიძლება ვთქვათ, თითქოს კლასთა შორის გარდა გამუდმებული ბრძოლისა, არაფერი საერთო არ არსებობს. მაშინ ხომ თვით საზოგადოების, ერის არსებობასაც ბოლო მოეღებოდა. ის მიმართულება, რომელსაც ჩვენი გაზეთი დაიცავს, აღიარებს რომ ჩვენში სწარმოებს კლასთა ბრძოლა.—ამ ბრძოლაში ჩვენ ერთიანად მშრომელი კლასის მხარეზე ვართ და შეძლებისადა გვარად ხელს შევუწყობთ მის გამარჯვებას.

დღეს საქართველო ისეთ მდგომარეობაშია, რომ მშრომელი ხალხის ინტერესთა დაცვა თავისთავად ეროვნული საქმეა. იგი მთელი ერის 90% შეადგენს, ესე იგი ერის დიდ უმრავლესობას და ვისაც საქართველოს მომავალი სწამს, ამ [illegible] უნდა დაემყაროს, მისთვის იზრუნოს, ეს ძალაა ერის დედა ბოძი, მისი შუა გული, იგი არ დამდგარა გადაგვარების გზაზე. ტერიტორიის შერჩენასაც საქართველო თუ შესძლებს მხოლოდ მშრომელი გლეხის წყალობით. ყველაზე მეტად მისი ინტერესი მოითხოვს საქართველოს პოლიტიკური იდეალის განხორციელებას, შინაური მართვა-გამგეობის დამყარებას, სადაც თავის თავის ბატონი, იგი თვითვე მოაწესრიგებს თავის ცხოვრებას. ამრიგად იმ მიმართულებისათვის, რომლის ბელადად განსვენებული არჩილ ჯორჯაძე გამოვიდა, ეროვნული და სოციალ-ეკონომიური საკითხი ერთი მეორეზე მჭიდროდ არიან გადაჯაჭვულნი, მისთვის ქართველი ეროვნების დაცვა ქართველი მშრომელი ხალხის დაცვაში გამოიხატება, ხოლო ქართველ მშრომელ ხალხს ვერ დაიცავთ ისე, თუ ქართველი ეროვნება არ დაიცავით".

მეგობრულის სალამით ვეგებებით ახალი თანამოძმის და თანამოაზრის „ჩვენი ერის" გამოსვლას და ვუსურვებთ, რომ მუდამ მხნედ და მტკიცედ ემსახუროს თავის დროშას. მძიმე პირობებში უხდება მუშაობა, მაგრამ ღრმად გვწამს, რომ ბოლოს ყოველ დაბრკოლებას გადალახავს და გამარჯვებული გამოვა.

* *

„ბათუმის გაზეთში" მაჰმადიანი ქართველი ცხარე პასუხს აძლევს „არაბი ვასფი ეფენდის", რომელსაც წერილი მოუთავსებია ბაქოს თათრულ გაზეთ „იღბალში", ბათუმელ მაჰმადიან ქართველების შესახებ, და რომელიც უჩრევს მათ **თათრულ ეროვნულ** ნიადაგზე აღორძინებას. „მაჰმადიანი ქართველი" სწერს:

„ჩვენ გვაკვირვებს ბ. არაბი ვასფი ეფენდის ლაპარაკები.

დედა-ენის შებღალვამ და თათრული ენის გავრცელების სურვილმა ჩვენ დაგვცა, დაგვაკნინა და დაგვაბნია, და ნუ თუ ახლად მოცოცხლებულსა და ცოტად თუ ბევრად გაღვიძებულ ქართველ მაჰმადიანებში ბ-ნ ვასფი ეფენდის კიდევ შეაქვს თათრული ენის გავრცელებისა და დედა-ენის მოსპობის სურვილი? რატომ მერე?

არაბმა ვასფი ეფენდიმ უნდა იცოდეს, რომ ერთია სარწმუნოება და მეორე ეროვნება. სარწმუნოებრივ ნიადაგით ერის განახლება ფიქციაა. წარმოუდგენელი იყო მკვდრეთით აღმდგარ ახალი საბერძნეთისა, ბულგარეთისა და რუმინიის განახლება და კულტურულ-ეროვნული აღორძინება გარეშე დედა-ენისა, მშობლიური კულტურისა და ევროპიული ცივილიზაციისა. მათ უნდა მიჰბაძოს ყველამ, მიუხედავად იმისა, თუ რა სარწმუნოებას აღიარებს იგი. ინდოეთი და არაბეთიც ხომ ამ გზას დაადგა. ამასთან გვიკვირს ბ-ნ არაბი ვასფი ეფენდის პოლიტიკა. მართალია ზოგადკაცობრიული თვალთახედვით ყველანი ადამიანები, ერთმანეთის მოყვასები და ძმები უნდა ვიყვნეთ, თუ დღეს არა ვართ, მაგრამ ბ-ნი ვასფი ეფენდი, თითონ ტომით არაბი, ოსმალფილისადა სპარსელფილის როლში მეტად ყალბ პოზიციაზე სდგას, და რატომ არა ჰგრძნობს ამას?

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ავადმყოფი ეპისკოპოსი ლეონიდი** გუშინ ინახულეს მხცოვანმა მგოსანმა **აკაკიმ** და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა დ. ო. ნიჟარაძემ.

✦ 16 მარტს ტფ. რეალურ სასწავლებლის მოსწავლეებმა მასწავლებლების ხელმძღვანელობით დაათვალიერეს ქართული საეკლესიო მუზეუმი და სიონისა და ანჩისხატის ტაძრები.

✦ როგორც პეტერბურგის დეპ. სააგენტო იტყობინება, ფოსტა-ტელეგრაფის მთავარი გამგე აცხადებს, რომ **საიუბილეო საფოსტო მარკები** ხმარებაში იქნება კიდევ 1914 წლის 31 დეკემბრამდე.

✦ **ახალი ქართული გაზეთი.** როგორც „თემი" გადმოგვცემს ამ დღეებში ტფილისში გამოვა ახალი ქართული ყოველდღიური გაზეთი „ჩვენი დროება" იმ მიმართულებისა, როგორიცაა განახლებული „იმერეთი".

✦ **შიოევის სახლის ჩამონგრევის** დროს დაშავებულ მსახიობს ვ. მატარაძეს საბჭომ, როგორც ვწერდით, შემწეობად დაუნიშნა 6,500 მან. ეს დადგენილება გამგეობამ გუბერნატორს დასამტკიცებლად გაუგზავნა 13 მარტს. მეორე დღეს, 14 მარტს, გამგეობამ გუბერნატორს სთხოვა, შეაჩეროს ამ დადგენილების დამტკიცება, რადგანაც განზრახულია ამ დადგენილების გადასინჯვა. უკანასკნელი გარემოება იმან გამოიწვია, რომ ამგვარივე საქმეების განხილვის დროს საიურიდიო კომისია იმ აზრს დაადგა, რომ დაშავებულთ შემწეობა იმან უნდა აღმოუჩინოს, რომელსაც შენობის გადაკეთება იჯარით ჰქონდა აღებული.

✦ **ნ. ნ. ლავროვი**, ტფ. სამოსამართლო პალატის თავმჯდომარედ ნამყოფი, 14 მარტს ადესას გაემგზავრა.

✦ **სენატორი ა. ა. ჩებიშევი**, ტფ. სამოსამართლო პალატის ახალი თავმჯდომარე, ტფილისს ჩამოვიდა.

✦ **ამიერ კავკასიის რკინის გზის შემოსავალ-გასავალი 1913 წ.** მთელი შემოსავალი ყოფილა 35,053,060 მ., (1912 წელს კი 32,288,210 მ. ყოფილა, ხოლო 1911 წელს 31,079,270 მ.) ხარჯი ჰქონია სულ 21,818,503 მ. (1912 წ. 19,902,712 მ.) წმინდა მოგება ამიერ კავკასიის რკინის გზას დარჩენია 1913 წელს 13,234,259 მან. (1912 წელს კი 11,808,400 მ.)

✦ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობის თანახმად გუბერნატორმა უდეს (ახალციხის მაზრა) ბიბლიოთეკა-სამკითხველოს პასუხისმგებელ გამგედ ივანე მერაბიშვილი დაამტკიცა.

✦ **განთავისუფლდა მასწავლებელ ქალის ადგილი** კავკავის ქართულს სკოლაში. მასწავლებელს ჯამაგირად ექნება თვეში 50 მ. ამ ადგილის მიღების მსურველმა თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარუდგინოს ტფილისში ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობას.

✦ **ახალი ბიბლიოთეკა.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების წინაშე აღიძრა შუამდგომლობა, რათა დაარსოს დაბა აბაშაში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

✦ **ქუნთრუშა** ტფილისში კვლავ მძვინვარებს. ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა შემუშავება საჭირბოროტო საკითხად გადაიქცა. ამის გამო კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ, თანახმად ექიმ ვირსალაძის წინადადებისა, დაადგინა, დანიშნოს საგანგებო კრება ამ საკითხის გამოსარკვევად.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის დამფუძნებელთა დელეგატების კრება** კვირას, 16 მარტს მოხდა ახალი კლუბის დარბაზში. კრებას სამოცამდე დელეგატი დაესწრო. წარმომადგენლები იყვნენ კავკასიის თითქმის ყველა კუთხიდან. წინა დღით დელეგატთა წინასწარი თათბირი მოხდა დეპუტატთა საკრებულოში; წინასწარმა თათბირმა განიხილა მომავალ ბანკის წესდება. აგრეთვე გადასწყდა, რომ ბანკს „კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი" დაერქვას. კვირის კრება ფრიად საინტერესო იყო და მრავალრიცხოვანი. კრებას ხელმძღვანელობდა პრეზიდიუმი: გუბერნიის წინამძღოლის კ. აფხაზისა, ი. დადიანისა და ნიკოლაძის შემდგენლობით. მდივანი იყო პ. გოთუა. კრებაზე დიდი აღფრთოვანება სუფევდა. კრებამ განიხილა და დაამტკიცა წესდება; შემდეგ ამოირჩია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ წევრებად ყველა ქალაქის წარმომადგენლები. გუშინ კრების გათავებისას საორგანიზაციო კომიტეტის პირველი კრება მოხდა.

✦ წმ. ნინოს უბნის ბიბლიოთეკის (მეცხრე საპოლიციო უბანში) წევრთა კრება ამ დღეებში მოხდა. კრებამ საწევრო ფულად დააწესა თვეში 15 კ. რამდენიმე შინაური საკითხის განხილვის შემდეგ კრებამ თანამდებობის პირნი ამოირჩია. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ვასო თევდორაშვილი, გიორგი სუხიშვილი, გიორგი ფარადაშვილი, ვასო სუხიშვილი და გრიგოლ მიროტაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: გრიგოლ ანაშვილი, პავლე ფრანგიშვილი და იოსებ კალანდაძე. ეს ბიბლიოთეკა დაარსებულია ქ. შ. წ.-კითხვის გამ. საზოგადოების მიერ და მოთავსებულია ნორიოს ქუჩაზე საბაშვილის სახლში (№ 11).

✦ წელს ლეიპციგში იმართება ხელოვნებისა და ბეჭდვითი საქმის ნაწარმოებთა გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობის მიღების საკითხის გადასაწყვეტად ამ დღეებში მოხდება შეერთებული კრება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოსი და ქ.-შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების საგამომცემლო სექციისა.

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობის კრება დღეისთვის არის დანიშნული.

✦ **მშობელთა წრეების** ცენტრალურ საბჭოს კრება დანიშნულია დღეისთვის, საღამოს 8 საათზე ვაჟთა მეორე გიმნაზიის სადგომში. კრება სხვათა შორის, განიხილავს საკითხებს საბჭოს მოქმედებისას ხუთის წლის განმავლობაში და საზაფხულო ახალშენის მოწყობის შესახებ.

### სომეხთა ცხოვრება

✦ **შეწირულობა.** ა. ბებუთოვს მარიამის სომხურ საქალებო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი საზოგადოებისათვის 1200 ოთხკ. საჟ. მიწა შეუწირავს ს. წყნეთში აგარაკის გასამართავად შეუძლო და ღარიბ ბავშვებისათვის.

✦ **ფოთში** სომხის მუშებს დაუარსებიათ წრე თვითგანვითარებისათვის.

✦ **სახალხო ფონდისათვის** ეჩმიაძინში დღემდის მიუღიათ 107,369 მან.

### გორი

✦ კვირას, 23 მარტს **არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების წლის თავზე** ადგილობრივ საკრებულო ტაძარში წირვის შემდეგ გადახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

✦ მარტის პირველ რიცხვებში ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მეთვალყურე გ. ბურჭულაძემ დაათვალიერა ადგილობრივ განყოფილების წიგნთ-საცავ-სამკითხველო და უკმაყოფილო დარჩა, რომ სამკითხველო მეტად მოუწყობელია, სამი სკამის მეტი არ გააჩნიათ, არჩილ ჯორჯაძის სურათის მეტი არავისი სურათია, წიგნთ-საცავი რუსული ჟურნალ-გაზეთებითაა „გატენილი" და ქართული წიგნი კი ორიოდეა და სხვ. და სამკითხველოს გამგეს წინადადება მისცა დროზე იქნას შედგენილი კატალოგი და წიგნები წასაკითხად აძლიოს მსურველთ სახლში.

✦ კვირას, 16 მარტისთვის, დანიშნული იყო გორის სახელოსნო ბანკის წევრთა წლიური კრება ხარჯთ-აღრიცხვის და სხვა საჭირო საკითხების განსახილველად, მაგრამ შუადღისას დეპეშა მოვიდა წვრილ სესხის ინსპექტორისაგან—საქმეებისა გამო კრებას ვერ დავესწრები და გადასდეთო. კრება 25 მარტისთვის გადაიდო.

✦ 5 მარტს, ღამის 12 საათზე, ბანქოს თამაშობის დროს რაფიელ შარაშიძემ დანით დასჭრა [illegible] დებაძე.

✦ შაბათს, 15 მარტს, ნაშუადღევს, გარეთუბანში ხიდიდან გადავარდა მდ. ფშანში ორი ბავშვი, მაგრამ დროზე მიეშველნენ და ცოცხალ-მკვდრები გამოიყვანეს.

✦ კვირას, 16 მარტს, მდინარე ლიახვში ურემი გადიოდა. ლიახვმა იგი გადააბრუნა და ზედ მჯდომი ორი ახალდაბელი დედაკაცი დაახრჩო. ერთი კაცი, ურემზევე მჯდომი, ცოცხალ მკვდარი გამოიყვანეს.

### ჭიათურა.

✦ 22 მარტს, საღამოს 6 საათზე, ადგილობრივ თეატრის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება ჭიათურის მომხმარებელ საზოგადოების **„ჩვენი ოჯახი"-ს** წევრთა: განსახილველია 1. მოხსენება გამგეობისა 2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა 3. განხილვა და დამტკიცება 1913 წ. ანგარიშებისა 4. განაწილება მოგებისა 1913 წ. 5. მიმდინარე კითხვები 6. არჩევანი გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

# ქუთაისის ავ-კარგი

სამი წლის წინად ქუთაისს არც ერთი გაზეთი არ ებადა და არც არავის ეგონა, რომ ერთი გაზეთი იბოგინებდა, ეხლა ორია და კვირას, 16 მარტს, გამოვიდა კიდევ მესამე გაზეთი **„ჩვენი ერი"**. როგორც სამის წლის წინად, ისე ეხლაც ბევრია ისეთი, რომელიც ასეთს სიმრავლეს ყოველ-დღიური გაზეთებისას ეჭვის თვალით უყურებს და ჰგონიათ დასავლეთი საქართველოსამ გაზეთს ვერ შეინახავსო.

ახლო მომავალი გვიჩვენებს რამდენად მართალია ეს ეჭვები, მაგრამ ჩემი მდგომარეობა ქუთაისის ცხოვრების მემატიანისა მავალებს მოკლედ მაინც აღვნიშნო, თუ სიდგან წარმოსდგა ახალი გაზეთის დაარსება ქუთაისში.

„კოლხიდა" და მისი მიმდევრები უპარტიო გაზეთი იყო, მას აწარმოებდა ჯგუფი, რომელშიაც მემარცხენები და ზომიერნი შედიოდნენ; რადგანაც პირველთა რიცხვი ჯგუფში სჭარბობდა, იმიტომ გაზეთს ელფერი, უფრო მემარცხენე ორგანოსი ედო, თუმცა დაკვირვებული მკითხველი ხშირად შეატყობდა, რომ დრო გამოშვებით ზომიერი წერილებიც იბეჭდებოდა. აი ამან დაჰბადა ის მითი, დასელების მიერ გამოცხობილი, რომ „კოლხიდა" და მისი მიმდევრები ვითომ პარტიული გაზეთები იყვნენ. წელს იანვრის დამლევს გამორკვა, რომ ის ჯგუფი, რომელიც აწარმოებდა გაზეთის საქმეს დავალიანდა და აღარ ძალ-უძს გაზეთის საქმის წარმოება. ამას ზედ—დაერთო ისიც, რომ საზოგადოებაში დატრიალდა აზრი, რომ უნდა დაარსდეს ეროვნული დემოკრატიული პარტია. ეს აზრი თუმცა ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ ამ საქმის მესვეურთ საჭიროთ სცნეს საკუთარი გაზეთის გამოცემა; რადგანაც ამას საუკეთესო იარაღათ სთვლიდენ თავის აზრების გასავრცელებლად: ამ მიზნით მათ იკისრეს გაზეთი „იმერეთის" ვალი და შეუდგენ კიდევაც მის გამოცემას.

მემარცხენენი იმ ჯგუფისა, რომელიც აქამდი აწარმოებდა გაზეთს, გარიყულნი დარჩნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი მკითხველთა აუდიტორია ანგარიშით მეტი უნდა ყოლოდათ.

ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოვიდა 16 მარტს, გაზეთი „ჩვენი ერი".

შემადგენლობა ამ გაზეთის რედაქციისა და თანამშრომელთა თავდებია იმისი რომ გაზეთი მრავალმხრივსა და საინტერესო საზდოს მისცეს მკითხველს. მომავალი გვიჩვენებს მოიპოვებს იგი აუდიტორიას თუ არა.

ს. ე. ქ.

# წერილი კავკავიდან

I.

ყოვლად სამღვდელო დავითი, ეპისკოპოსი პიატიგორსკისა გადაიყვანეს ვლადიკავკასის ეპარქიის პირველ ქორეპისკოპოსად და ქალაქ ვინიცის ეპისკოპოსად. პიატიგორსკში მათი მეუფება დავითი კარგათ ჰგრძნობდა თავს, სამკურნალო წყლები და კარგი, სადი ჰაერი მის ჯანმრთელობაზე კარგათ მოქმედობდნენ. მათმა მეუფებამ ხალხს მიიჩვია, მოიპოვა მათში პატივისცემა, სამღვდელოებამ შეიყვარა; ამას ისიცა დაუმატოთ, რომ პიატიგორსკში, ალაგირში და კავკავში ბლომად სცხოვრობენ ქართველები, რომლებთანაც მათ მეუფებას ჰქონდა ხშირი მისვლა-მოსვლა და თავს ობლად არა ჰგრ-

ქნობდა. დავით ეპისკოპოსის გადაყვანამ გული დასწყვიტა თერგის ოლქში მცხოვრებ ქართველებს: 24 თებერვალს ეპ. დავითი ჩამობრძანდა კავკავში, ეპ. ანტონთან გამოსათხოვნელად. ადგილობრივმა ინტელიგენციამ სთხოვა მათ მეუფებას ერთი საღამო მათთან დარჩენილიყო. თუმცა მათ მეუფებას არავისი შეწუხება არ ჰსურდა და შეუმჩნევლად აპირებდა წასვლას, მით უფრო პიატიგორსკში მიეშურებოდა, მაინც ადგილობრივ ქართველების წარმომადგენლების სურვილზე უარის თქმა ვეღარ მოახერხა. 27 თებერვალს დანიშნულ ადგილზე საღამოთი შეიკრიბნენ აქაური ქართველების წარმომადგენლები. მობრძანდა მათი მეუფებაც. თავ. იასონ ლორთქიფანიძე მიესალმა მათ მეუფებას, მოკლე, გრძნობიერი სიტყვით მიმართა, და ნიშნად სიყვარულისა, ღრმა პატივის ცემისა კავკავის ქართველების სახელით მიართო მშვენიერი კვერთხი ზედ წარწერით. ვახშამზე გრიგოლ ბურდულმა მდაბიო, მაგრამ სიყვარულით აღსავსე სიტყვით მიჰმართა მათ მეუფებას.

მღვდელმა მ. გიორგი ალნიაშვილმა მშვენივრათ გამოხატა თავის სიტყვაში მათი მეუფების სულის-კვეთება სამშობლო ქვეყნის უნებლიეთ დაშორების გამო. „უკანასკნელათ რომ ემშვიდობებოდით ჩვენს ქვეყანას თქვენა ბრძანეთ:

„სამშობლოვ გშორდები იმისთვის კი არა, რომ არ მიყვარხარ, იმისთვის, რომ ძალიან მიყვარხარო“.

ვლ. კ. ლოლუამ კარგათ დაასურათა დღევანდელი ჩვენი ცხოვრების დაქვეითება, სამღვდელოების დაბეჩავება, ხოლო მათი მეუფების მადლიანი ხასიათი, პირდაპირობა, სიმართლის ხმის მაღლა ლაღადი და უსამართლობასთან მოურიდებელი ბრძოლა დ სამშობლო ქვეყნის სიყვარული.

ყველას მწუხარება ეტყობოდა მათი მეუფების დაშორების გამო. იმავე საღამოს მათმა მეუფებამ ვინიცის ქალაქის მოურავისაგან დეპეშა მიიღო: „ძველი ქალაქი ვინიცა ქადარა თავს იხრის თქვენი მეუფების წინაშე, მოგესალმებათ და მოგილოცავთ პოდოლის დიდი ეპარქიის პირველ ქორეპისკოპოსად უმაღლესათ დანიშვნას“. მეორე დღეს ეპ. დავითი დილის მატარებლით წაბრძანდა პიატიგორსკში. **მ. გ. ნ.**

## წერილი ვარშავიდან

ქართველი მკითხველი საზოგადოება დეპეშებით გაიგებდა კიდეც, რომ ბერლინში კათოლიკეთა წმ. პავლეს ეკლესიაში პოლონელთა და გერმანელებს შორის ინციდენტი მოჰხდა, რაიცა შემდეგით გამოისახა: როდესაც კსიონძმა (კათოლიკეთა მღვდელმა) წინააღმდეგ დაპირებისა უარი განაცხადა პირველ აღსარებაზე მიყვანილ პოლონელ ბავშვებისთვის აღსარება პოლონურად ეთქმევიებინა და სთანხმდებოდა ეზიარებინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები აღსარებას და მცირე კატეხიზმს გერმანულ ენაზე იტყოდნენ, ამით შეურაცხყოფილმა მშობლებმა პოლონელ ბავშვებისამ ეკლესიაში ხმაურობა ასტეხეს და არც დაწყნარდნენ, ვიდრე გერმანელი პოლიციელები არ ჩაერივნენ ამ ინციდენტში და წესრიგის დამრღვევნი არ დააპატიმრეს.

ამ ფაქტს განმარტება არ ესაჭიროება: მით გამოითქვა ერთგვარი დაჩაგვრა პოლონელებისა გაბატონებულ გერმანელების მიერ, რომელნიც თავის ქვეშევრდომთა სარწმუნოებასაც კი სჩაგრავენ. თქმა მეტია, რომ ვარშაველი პოლონელთა საზოგადოდ და კერძოდ სტუდენტობა ასეთს მისი ეროვნულ თავმოყვარეობის შემლახველს მოვლენას გულგრილად ვერ შეჰხვდებოდა დ სულგრძელ მოთმინებით არ უპასუხებდა. პროტესტის განცხადება რაიმე სახით ბუნებრივი და მოსალოდნელი იყო.

მართლადაც 6 მარტს საღამოს 7 საათზე პოლონელმა სტუდენტობამ გერმანიის საელჩოს შენობასთან მოიყარა თავი და შემდეგ ქვა და სამელნეები დაუშინა კონსულის ბინის ფანჯრებს. ჩაამტვრიეს მინები და მელნით მოსვარეს ფანჯრები. ჩამტვრეულ მინების ხმაურობაზე გაჩნდა ორი პოლიციელი, რომელმაც სამი სტუდენტი დაპატიმრა და საპოლიციო ნაწილში მიჰყავდა, იქვე მყოფი სხვა სტუდენტები შემოეხვივნენ პოლიციელთ და დაპატიმრებულების განთავისუფლებას მოითხოვდნენ. ამასობაში გაჩნდნენ ეტლებით სხვა პოლიციელნიც, რომელნიც თურმე კონსულს დაებარებინა საპოლიციოდან, ალყა შემოარტყეს დემონსტრანტ სტუდენტებს და პოლიციაში წაიყვანეს. სულ დაპატიმრებულია რუსულ გაზეთების ჩვენებით 54 სტუდენტი, ხოლო პოლონურ გაზეთების სიტყვით, 64. მათში უმეტესობა (36 კ.) პოლიტეხნიკოსები არიან, 11 კაცი უნივერსანტი და დანარჩენი ბეითლები. არიან გარეშენიც ერთი თუ ორი.

პოლონურ „კურიერ პორანნის“-ს სიტყვით, ამ ჟამად გამოძიება სწარმოებს იმის გამოსარკვევად, თუ თვითეულს მონაწილეს რა დანაშაული მიუძღვის. სტუდენტები ჯერხნობით არ გაუნთავისუფლებიათ. თუ გერმანიის მთავრობა არსებულ გამწვავების დროს დიდს მნიშვნელობას არ მიაკუთვნებს მომხდარს დემონსტრაციას, მაშინ დაპატიმრებული სტუდენტები დისციპლინური წესით (ე. ი. სასწავლებელთა მთავრობის დადგენილებით) დაისჯებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი წლით ციხე მოელით: სასწავლებლებიდან დათხოვნა კი უეჭველია.

8 მარტს უნივერსიტეტის დერეფანში პოლონელმა სტუდენტებმა მრავლად მიმოფანტეს რუსულად ნაბეჭდი პროკლამაციები. ამ პროკლამაციებით რუს სტუდენტობას, რომელიც ამ ჟამად უმრავლესობას წარმოადგენს ვარშავის სამსავე უმაღლეს სასწავლებელში მოიწვევდნენ: გავიფიცოთ და დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლება მოვითხოვოთ. რუს სტუდენტობაზე ასეთმა მოწოდებამ ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა და ამიტომაც აკადემიურ ცხოვრების მიმდინარეობის შეცვლა-გართულება ამ მოკლე ხანში მოსალოდნელი არ არის.

* * *

უკრაინულ მა სტუდენტობამ, რომელიც თავისი საზოგადოება—„გრომადის“ წყალობით, მჭიდროდ არის შეკავშირებული, 8 მარტს საღამოთი გამართა საღამო კონცერტით სახელოვან ტარას შევჩენკოს იუბილეს აღსანიშნავად. ქართველმა სტუდენტობამ განიზრახა თავის სალამი მიეძღვნა ბედით მოძმე ერის ახალგაზრდობისათვის. მისალოცი დეპეშა გაიგზავნა უნივერსიტეტის პროფესორი გუტნიკოვის (უკრაინელია) სახელობაზე, რომელიც ამავე დროს „გრომადის“ გამგეობის თავმჯდომარედ არის. პროფესორს უნდოდა კიდეც დეპეშის საჯაროდ წაკითხვა, მაგრამ პოლიცმეისტერმა ამაზე უარი შემოუთვალა.

**მ. ბერძენი.**

## ს. ქ. გ. ს. ქვემო-მაჩხაანის განყ. წლიური კრება

11-ს მარტს სოფელ ქვემო-მაჩხაანის სამინისტრო სასწავლებლის დარბაზში, ქვემო-მაჩხაანის განყოფილების წევრთა კრება მოხდა.

კრებას მოჰხსენდა 1913 წლის ანგარიში და მდგომარე წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.

ანგარიში განყოფილების გამგეობის ოთხ თვე ნახევრის მოქმედებას ეხებოდა, რადგანაც ქვემო-მაჩხაანის განყოფილება ამ ხნის განმავლობაში მოქმედებს.

ქვემო-მაჩხაანის განყოფილებას შარშან 64 ნამდვილი წევრი ჰყოლია—განყოფილების გ-მგეობას ამ ოთხ თვე ნახევარ მი ხუთი სხდომა ჰქონია და რვა საქმე განუხილავს.

განყოფილების გამგეობას შარშანდელ კრების დავალებით შეუსრულებია ორი საქმე: 1) დაუარსებია ორს სოფელში ქვემო-მაჩხაანსდა ჯუგაანში წიგნთ-საცავ-სამკითხველოები და 2) მოუწყვია სახელმძღვანელო წიგნების და სასწავლო ნივთების საწყობი. ეს საწყობი საკუთარ შენობის უქონლობისა გამო მოუწყვია ქვემო-მაჩხაანში მოვაჭრე ნიკო კოჩაშვილის დუქანში, რომელსაც უსასყიდლოდ უკისრნია ამ წიგნებისა და ნივთების გაყიდვა განყოფილების სასარგებლოდ.

მხოლოდ ერთი დავალება წარსულის წლის კრებისა გამგეობას ვერ შეუსრულებია, სახელდობრ, ვერ მოუწყვია სახალხო კითხვები გლეხკაცობისათვის. ქვემო-მაჩხაანის განყოფილებას გადაუწყვეტია ასეთი კითხვები მოაწყოს ზაფხულობით, როდესაც სოფლად დაბრუნდება ინტელიგენტობა.

განყოფილებას ოთხ თვე ნახევრის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 403 მან. 55 კაპ.; ამავე ხნის განმავლობაში დახარჯულა 377 მან. 88 კ. —მდგომარე 1914 წლისათვის ნაღდად დაჰრჩენია 25 მან. 67 კ. და 182 მან. და 59 კ—ს სახელმძღვანელო და სასწავლო წიგნები.

## ირლანდიის ავტონომია

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ირლანდიის ავტონომიის საკითხი ინგლისში თანდათან მწვავდება. როდესაც ირლანდიის ავტონომიის მოწინააღმდეგებმა დაიწყეს მზადება აშკარა აჯანყებისთვის, მთავრობამ ჯარი გაგზავნა ირლანდიაში. ამ გარემოებამ უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისის არისტოკრატ აფიცრებში, რომლებმაც განაცხადეს, თუ მთავრობა ძალით მოისურვებს ირლანდიის ავტონომიის მოწინააღმდეგეთა ამბოხების ჩაქრობას, ჩვენ ამ საქმეში მონაწილეობას არ მივიღებთო. მაშინ ინგლისის მთავრობასა და აფიცრებს შორის გაიმართა მოლაპარაკება. როგორც გამოირკვა, ინგლისის მეფემ მოისურვა, მთავრობა დათმობის გზას დასდგომოდა და აფიცრები დაეშოშმინებინა. მეორეს მხრით აფიცრებსაც მოსთხოვა მთავრობის კომპრომისზე დასთანხმებულიყვნენ. ამ მოლაპარაკებამ და იმ გარემოებამ, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქცია აფიცრების ურჩობას და დათმობის გზას დაადგა, ინგლისში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ირლანდიის საკითხს მოჰყვა მეორე საკითხი, რომელიც ძალიან აინტერესებს ინგლისის საზოგადოებრივ აზრს. ინგლისი კლასიკური ქვეყანაა კონსტიტუციონალიზმისა და კანონიერებისა. ამიტომ აფიცრებისა და მეფის ჩარევა მთავრობის მოქმედებაში, როდესაც ეს უკანასკნელი შედეგია ხალხის მიერ გამოცხადებული ნდობისა უეჭველია, უშედეგოდ არ ჩაივლიდა.

12 (25) მარტს ინგლისის პარლამენტის კრება მოჰხდა. ამ კრებაზე მთელი რიგი ორატორებისა ჰგმობდა მთავრობას იმის გამო, რომ იგი ცოტათი მაინც დაადგა დათმობის გზას, ქედი მოიხარა აფიცრების წინაშე, დაუჯერა მეფეს და ამ რიგად შელახა ინგლისის კონსტიტუციონალიზმი და პარლამენტარიზმი, რომლის მიხედვითაც მთავრობა ყველა თავის მოქმედებით პასუხისმგებელია მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტის წინაშე.

მუშათა პარტიის წევრმა უორდმა წარმოსთქვა ცხარე სიტყვა და სხვათა შორის, სთქვა შემდეგი: „ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, ვინა სდგას მართვა-გამგეობის სათავეში: ხალხის მიერ არჩეული მთავრობა, თუ ჯგუფი აფიცრებისა; ვალდებულია თუ არა პარლამენტი ამ აფიცრებისაგან აიღოს ნებართვა, როდესაც საჭიროდ მიაჩნია ხალხის მიერ მიღებული კანონების განხორციელება“. ამ სიტყვებმა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, დიდი თანაგრძნობა გამოიწვია პარლამენტში და ორატორი ხან-გრძლივი ტაშითაც დააჯილდოვეს.

ასეთივე ხასიათის სიტყვები წარმოსთქვეს რადიკალებმაც და ერთხმად დაჰგმეს მთავრობა. ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ მეფის ჩარევა ამ საკითხში ინგლისის დემოკრატიულ წეს-წყობილებას ეწინააღმდეგება.

ამ იერიშმა გამოიწვია სამხედრო მინისტრის სამსახურიდან გადადგომა. სამხედრო მინისტრს სილლის, იმ კომპრომისის გამო, რომელიც მოჰხდა სამხედრო საბჭოსა და გაფიცულ აფიცერთა შორის, შემდეგი უთქვამს:

განცხადების უკანასკნელი ფრაზა, რომელიც ხელფეხს უბორკავს მთავრობას, სასახლეში ჩავუმატე მე თითონ, სხვა მინისტრთა დაუკითხავად. მე ვგრძნობ, რომ ჩავიდინე ძალიან დიდი შეცდომა, რომელიც ყალბ მდგომარეობაში აგდებს მთავრობასა და ჯარს, და ამიტომ სამსახურს თავს ვანებებო.

ლიბერალები და რადიკალები ძალიან აღშფოთებულნი არიან მეფის ანტიკონსტიტუციონური მოქმედებით. ფიქრობენ, რომ ამ კონფლიქტმა შეიძლება მთავრობის გადადგომაც გამოიწვიოსო. იმასაც ამბობენ, ლლოიდ-ჯორჯი თავის ამხანაგებს ამ საკითხში არ ეთანაუგრძნობს და, თუ, ვინიცობაა, მთავრობა სამსახურიდად გადადგა, რადიკალურ მთავრობის შედგენას იკისრებსო.

ასეთია ეხლანდელი მდგომარეობა ირლანდიის ავტონომიის საკითხისა.

მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა ასეა ნავარაუდევი: შემოსავალი წევრთაგან, წარმოდგენებიდან, სასწავლო წიგნების საწყობიდან და შემოწირულებიდან სულ 470 მანეთი. გასავალიც სახლის ქირა, მოსამსახურისა, ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერი და სხვა სულ ნაანგარიშევია 340 მანეთი.

გარდა სახალხო კითხვების მოწყობისა, გადაწყვეტილია გახსნან სხვა და სხვა სოფლებში წიგნთ-საცავ სამკითხველოები ადგილობრივ შეგნებულ-პირთა შემწეობა-დახმარებით.

კრებამ გამგეობას დაავალა გულმოდგინედ მოეკიდოს საწევრო ფულის შეკრებას და ახალი წევრების ჩაწერას.

ქვემო-მაჩხაანის განყოფილება, მართალია, ჯერ ხანად სუსტია, ბევრი საჭირო საქმე ჯერ ვერ გაუკეთებია, მაგრამ იმედია თანდათან მოღონიერდება და სასარგებლო კულტურულ დაწესებულებად გარდაიქცევა ჩვენს ჩამორჩენილ კუთხეში.

**X.**

## რუსეთ-საფრანგეთის მეგობრობა

რუსეთმა საფრანგეთისაგან ამ ბოლო დროს 2 ნახ. მილიარდი ფრანკი (1 მილიარდი მანეთი) ისესხა, რომელიც ნაწილ-ნაწილად ხუთს წელიწადში (1914—1918 წ.) უნდა მიიღოს.

ამ სესხის გამო ფრანგული კონსერვატიული (კათოლიკების) ჟურნალ „Le Correspondant“-ში ვრცელი წერილია მოთავსებული. წერილში მოყვანილია ნამდვილი ცნობები რუსეთის ჯარის რაოდენობისა და ბინადრობისა წარსული წლის 1 ნოემბრამდე. ამ წერილმა დიდი ყურადღება მიიქცია საფრანგეთსა და ინგლისში. წერილში სხვათა შორის ნათქვამია: „ერთი თვალსაჩინო პარიზელი ფინანსისტი რუსეთს ესტუმრა. ინახულა კოკოვცევი და დაახლოვებით ასეთი სიტყვით მიჰმართა: „რუსეთის მთავრობას აუცილებლად ესაჭიროება ფული, მაგრამ მისთვის საჭიროა აგრეთვე „სარკინისგზო“ სესხი (წერილის ავტორსაც „სარკინისგზო“ ფრჩხილებში აქვს ჩასმული). ჩვენ, (ფრანგებს) შეგვიძლიან მოგთავაზოთ ჩვენი აუარებელი შეძლება. მაგრამ ამასთანავე მოვალედ გრაცხთ სტრატეგიული რკინის გზა გაიყვანოთ, რათა ომიანობის შემთხვევაში მისი გამოყენება შეიძლებოდეს“.

კოკოვცევმა შესაძლოდ დაინახა სტრატეგიული რკინის გზის გაყვანა დასავლეთის სამზღვარზე თუ საფრანგეთი ხუთს წელიწადში ზედიზედ მისცემს ყოველ წლიურ სესხად 200 მილიონ მანეთს.

შეთანხმება მოხდა. ამ სესხის აღებას გაზ. „მატენ“-მაც დიდად შეუწყო ხელი. ამ გაზეთის მთავარი რედაქტორი სტეფან ლოზანი შარშან დეკემბერში საგანგებოდ გაემგზავრა რუსეთში, „რათა ადგილობრივ შეესწავლა საქმე“. მერე „მატენ“-ში წერილი მოათავსა ასეთის სათაურით „უდიდესი რუსეთი“ (La plus grand Russie“). ლოზანი პირველს წერილში სწერდა: „დიდებული რუსეთი—ეს რიცხვია! („La plus grand Russie, c'est le nombre“) „ბედნიერია ეს ქვეყანა, სადაც ჯარში გაჰყავთ ხალხის საუკეთესო ნაწილი. და სამხედრო ბეგარისაგან უთვალავ ხალხს ანთავისუფლებენ, რათა უპატრონონ ოჯახს, ხელმოკლეთ, ქვრივ-ობერთა შვილებს, ომში დასახიჩრებულთა მშობლებს და სხვა. „ხვალ რომ ომი მოხდეს, რუსეთს თავისუფლად შეუძლიან დასავლეთს 17 მილიონი მეომარი მიაყენოს. ლოზანი რუსეთის ჯარს დიდის ქებით იხსენიებს, ეს ჯარი არამც თუ გერმანიისა; საფრანგეთის ჯარზედაც მაღლა სდგასო, ისეთი სამხედრო საძზარეულოები, ასეთი უზარმაზარი ზარბაზნები არც ერთ სახელმწიფოს არ მოეპოვებათ. ერთად-ერთი რამ, რაც გერმანელთა დასამარცხებლად რუსეთს აკლია ეს გერმანიის სამზღვრებზე რკინის გზის უქონლობაა, რომლითაც „17 მილიონ მეომრის“ გადაყვან-გადმოყვანა შეეძლოსო“.

„რუსეთი ოსმალეთის სომხეთში სამოქმედოდ ემზადება. რუსეთი მათ ჩუმად და ოსტატურად ამზადებს. რუსეთი ნელის ნაბიჯით ფეხს იკიდებს იქ.“

ლოზანის სიტყვით, „რუსეთის ჩარევა სომხეთის საქმეში, იქნება დასაწყისი ოსმალეთის საბოლოოდ დანაწილებისა.. „რუსეთი, რომელიც ეხლა უმოქმედოდ შეჰყურებს ბოსფორის სანაპიროების ამბებს, გულგრილად ვეღარ შეჰხედავს სომხეთში დატრიალებულ ამბებს... აი, სწორედ მაშინ დადგება ჟამი ოსმალეთის დანაწილებისა.. ესმის თუ არა ევროპას, რას მოასწავებს ეს?“...

ლოზანი ამ სიტყვებს თითქოს კოკოვცევსა და საზონოვს ათქმევინებს, „მათ რომ თავისუფლად შეეძლოთ ლაპარაკი (ე. ი. დიპლომატიური მოსაზრება, რომ არა ჰბორკავდეს) სწორედ ამას იტყოდნენო“.

ლოზანი საფრანგეთის მთავრობას უსაყვედურებს საერთაშორისო პოლიტიკაში გამბედაობა გაკლიაო და თუ ოსმალეთის გაყოფაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რუსეთმა მაინც ხელი უნდა შეუწყოს, რომ მან შესძლოს გერმანიას კრიჭა შეუკრას ეგეიის ზღვაზეო.

ლოზანის ნამდვილი გულის ზრახვანი სამართლიანად დაafასა ჟორესმა, რომელიც („L'Humanite“-ში 1914 წ. 19 იანვ. ნომერში) სწერს: „სტეფან ლოზანის ქებათა-ქებას რუსეთის მიმართ ცხადი მიზანი აქვს. რუსეთს საფრანგეთში სესხის აღება უნდა.. რათა საფრანგეთის საზოგადოებრივმა აზრმა რამენაირად ხელი არ შეუშალოს ამ განზრახვას, და პარლამენტის მხრივაც პროტესტი თავიდან აიცილონ, ამ განზრახულ სესხს მამულიშვილურსა და სტრატეგიულ სარჩულს უდებენ. ამისათვის მიაქანებს ლოზანი ურალიდან და კავკასიიდან მეომრებს გერმანიის სამზღვრებისაკენ იმ ორთქლ-მავალ ცხენებით, რომელიც ამ სესხის წყალობით უნდა დამზადდეს“.

ჟორესსაც „Correspondant“-იდან მოჰყავს ამონაწერი: „რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა ისეთია, რომ თუ, ჩვენ 1914 წ. პირველ თვეებში სესხი არ მივეცით, მისი მთავრობა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებაო“.

10 წლის განმავლობაში (1903—1912 წლამდე) რუსეთს აუღია ვალად 4044 მილიონი მანეთი, ხოლო გაუსტუმრებია 1830 მილიონი მანეთი. ამ ათ წელიწადში რუსეთის ვალს მოჰმატებია 2214 მილიონი მანეთი. 1903 წელს რუსეთის მთელი სახელმწიფო ვალი 6651 მილიონ მანეთს უდრიდა, ხოლო 1912 წ. 8858 მილ. მანეთს. რუსეთის ნაღდი თავისუფალი (ვალიუტა) ოქრო მხოლოდ 508—556 მილიონ მანეთს უდრის.

ეს ფულიც იმავე სესხით არის შეძენილი. რუსეთის ფინანსების ასეთის მდგომარეობა კარგად იციან საფრანგეთში, მაგრამ მაინც უნდათ სწამდეთ რუსეთის კეთილდღეობაო.

იგივე ჟურნალი „Correspondant“ სწერდა 1912 წელს სექტემბერში: „დაინტერესებული წრეები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა საფრანგეთის საზოგადოებრივმა აზრმა არ იცოდეს ის, რაც უნდა იცოდეს. ამ საქმისათვის 1910 წელს პარიზში არსებულ რუსეთის საელჩოს გამგეობაში 1200.000 ფრანკი იყო წელიწადში გადადებული, გარდა იმ თანხებისა, რომელიც სხვა და სხვა სახით საელჩოს გარეშეც რიგდებოდა.

სხვათა შორის, ლოზანის წერილების გამო ერთი პარიზული გაზეთი სწერდა: „ოქრო დამაბრმავებელი ლითონია, და ამისათვის არც საკვირველია, თუ ბატონმა ლოზანმა თვალები გაიფუჭა, რადგანაც მეტის-მეტად გულმოდგინედ ათვალიერებდა რუსულ ოქროსაო“.

1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განმარტებაში კოკოვცევს მოხსენებული აქვს „სესხის საქმეში საბანკო და სამეურნეო ხარჯები“. შვიდს წელიწადში (1908—1914 წ.) ასეთი ხარჯი 8 მილიონ მანეთს უდრიდა, თურმე.

გაზ. „ნეუე ფრეიე პრესსე“-ის თანამშრომელი ჰუგო განცი, თავისს წიგნში რუსეთის შესახებ, ამ რამდენიმე წლის წინად სწერდა, რომ რუსეთისთვის სესხის მომწყობი შუამავალი—ბანკირები ყოველ ახალ სესხის მოწყობის დროს, საკომისიოდ იღებენ მთელის სესხიდან 3%. ამ ვარაუდით რომ ვიანგარიშოთ, ეხლანდელი სესხიდან ($2^1/_2$ მილიარდი მანეთი) ამ ბირჟის დალალებს 74 მილიონი ფრანკი ერგებოდათ.

„კორრესპონდენტ“-ის თანამშრომელი სხვათა შორის ამასაც პირდაპირ ამბობს: „საფრანგეთ-რუსეთის კავშირი იყო, არის და კიდევ დიდხანს დარჩება უპირველესად ფინანსიურ საქმედ—ფინანსიურ საქმედ რუსეთისთვის, რომელსაც მუდამ სჭირია ფული; ეს კავშირი არის ფინანსიური საქმე საფრანგეთის უმაღლეს ბანკირებისა და პოლიტიკურ წრეების, რომელნიც მუდამ სარგებლობდნენ, სარგებლობენ მერმისშიაც ხელს მოითბობენ ამ სესხის წყალობითაო.

**ნ...**

## საკანონმდებლო დაწესებულებებში

(დეპეშა)

**სარწმუნოების შეცვლა.** კსენძმა მაცევიჩმა სარწმუნოების გამოცვლის კანონ-პროექტში შესწორება შეიტანა, რომელიც სამღსარებლო კომისიამ ერთი ხმის უმეტესობით მიიღო. ამ შესწორების ძალით ერთი სარწმუნოებიდან მეორეში თავისუფალი გადასვლის უფლება აქვს ყველას, ვინც 18 წლისაზე ნაკლები არ არის.

**ახალი პროექტი.** ვაჭრობის მინისტრმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა კაიონ-პროექტი, რომლითაც ნება ეძლევა ყველას საზღვარგარეთიდან უბაჟოდ შემოიტანოს სათბობი ნავთის მასალა.

**დეპ. კერენსკის საქმე.** პირადი შემადგენლობის კომისია მახლობელ სხდომაზე გაარჩევს მინისტრის წინადადებას, რომელიც ითხოვს დეპ. კერენსკი სათათბიროდან დაითხოვეთ, იგი სამართალშია მიცემული როგორც ერთი იმ 83 ვექილთაგანი, რომელთაც ბეილისის საქმის პროტესტს ხელი მოაწერეს.

## მოწერილი ამბები

**დაბა ხუჯუნა** (სამეგრელო). აქ არსებობს ოთხი პირველ-დაწყებითი სკოლა, ორი ორ-კლასიანი ვაჟებისათვის, ორიც საქალებო; არსებობს წვრილი სესხის ამხანაგობა, რომელიაც წელს ამხანაგობას ექვსასი მანეთი წმინდა მოგება მისცა. გვაქვს ბიბლიოტეკა-სამკითხველო, აფთიაქი და სხვა. მკითხველი ეხლა ადვილად წარმოიდგენს, თუ რა საჭირო უნდა იყოს ასეთ დაბისთვის და მხარესათვის ფოსტა-ტელეგრაფი. ფოსტა-ტელეგრაფის შესახებ სოფლის კრებაზე დაადგინეს განაჩენი, ამ განაჩენით ხალხმა იკისრა ფოსტისათვის შენობის დაქირავება, გათბობა—განათება, ტელეგრაფისთვის საჭირო სვეტების მოჭრა, და ერთდროულ ხარჯების 400 მანეთის გადახდა. ეს განაჩენი ბოქაულს ოქროპირიძემ წარადგინა სადაც ჯერ არს. მთავრობამ მოითხოვა დამატებითი განაჩენი რათა ერთდროული დახმარება საზოგადოებამ ოთხასის ნაცვლად რვაასი მანეთი იკისროს. ბოქაულმა მოიწვია საზოგადოების კრება.

კრებამ უარჰყო მთავრობის მოთხოვნილება. ბოქაულმა შემოიკრიბა ისეთი პიროვნებანი, რომელთაც აღმოუჩინეს ამ კეთილ საქმეს დახმარება 500 მანეთა მდე. ამ გვარად დაკმაყოფილებული იქნა ფოსტა-ტელეგრაფის მთავრობის მოთხოვნილება. ამ საქმისთვის ზრუნავდა ბოქაული ოქროპირიძე, აზნაური ლევან თ. ხოშტარია, ბლაღ. მღვდელი ფილიმონ მატკავა და ებრაელების რაბინი მიხეილ ელაშვილი და გ. შამლიკაშვილი. მადლობის ღირსია ადგილობრივი აზნაური აკაკი მ. ხოშტარია, რომელმაც კრიტიკულ მომენტში ამ საქმეს ხელი შეუწყო და შემოსწირა 300 მ. იმედია ფოსტა-ტელეგრაფის მთავრობა განკარგულებას მოახდენს, რომ დ. ხუჯუნაში ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა გაიხსნას.

**გურული.**

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**15 მარტი.**

**უ ც ხ ო ე თ ი.**

**ლონდონი.** ნავების სისწრაფის გაჯიბრებაში კემბრიჯმა აჯობა ოქსფოორდს. მაყურებლად აუარებელი ხალხი იყო. მაყურებლების სიმძიმემ ჩაამტვრია დროებითი ხიდი გამერსმიცის ახლო. 164 კაცი ხომალდზე დაეცა, რამდენიმე კი მდინარეში ჩავარდა. 14 მათგანი მძიმედ დაშავდა.

**ლონდონი.** პოლიტიკური მდგომარეობა მშვიდობიანია.

**ტოკიო.** დედოფალს ყელი სტკივა. ღამე მოუსვენრად გაატარა. პრემიერის შესახებ საკითხი ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

**ათინა.** ორთაკენის სამხედრო გუბერნატორმა უბრძანა ბერძნებს, სრულიად უბარგოთ გავიდნენ ქალაქიდან ორი დღის განმავლობაშიო. ბერძნები სთხოვენ, ცოტა მეტი ვადა მოგვეციო.

**ბელგრადი.** მოსაზღვრე ადმინისტრაციის ცნობით ბულგარეთისა და ალბანეთის საზღვრებზე აჯანყებულთა რაზმები გაჩნდა. ალბანეთიდან გამოქცეულნი ამბობენ, ალბანელებს განზრახვა აქვთ, სერბიის ტერიტორიას დაეცნენო.

**ტოკიო.** კაბინეტის შედგენა მიენდო ტოკუგავას.

**ბელგრადი.** ალბანელები კოჩანის ახლო საზღვარს გადავიდნენ, შეიკრიბნენ სოფელ ვანჰიაში, ააჯანყეს მცხოვრებლები, დასჭრეს პრეფექტი და ერთი მოხელე; მეზობელ სოფლებში პროპაგანდას ეწევიან; არწმუნებენ მცხოვრებთ, ვითომ საერთაშორისო კომისია ალბანეთზე ან ოსმალეთზე მიგაწერთო. აჯანყებულ მიდამოებში სერბიის ჟანდარმერია გაიგზავნა.

**ათინა.** ერსეკში მყოფმა ალბანელების გაუწვრთნელ ჯარის სარდალმა ახმეტ-ბეიმ ეპირელებს მიმართა, ერსეკს ნუ დაეცემით, თორემ გამოვილაშქრებ და გაგანადგურებთო. ეპირელების სარდალმა შეუთვალა: გელითო. ცხარე ბრძოლის შემდეგ ეპირელებმა თავისი პოზიცია შეინარჩუნეს; მათ მაშველი ჯარიც მოუვიდათ. ეპირელებს მოუკლეს 30 კაცი, ალბანელებს—ძალიან ბევრი.

**კორფუ.** მოვიდა იმპერ. ვილჰელმი. ბერძნების მეფე-დედოფალი დაუხვდნენ.

**ვენა.** „რეიხს-პოსტს“ სკუტარისგან აცნობენ, ალბანეთის თემებმა გრუდიმ და ხოტიმ, რომლებიც ჩერნოგორიის ერგო, გადასწყვიტეს არას გზით არ შეურიგდნენ ჩერნოგორიის მფლობელობას, თუნდაც ამის გამო იმათ სულ ერთიან ამოსწყვიტა მოელოდეთ. მალისორები და მირილიტები დაჰპირდნენ, ჩვენც მოგეშველებითო.

**რომი.** რკინის გზის მუშათა აგიტაციამ ფართო ხასიათი მიიღო. მილანსა, ტურინსა ® რეჯიოდი-კალაბრიაში მომხდარ მიტინგებზე უკიდურესი პარტიები დაჰპირდნენ, თუ გაფიცვა მოხდა, დაგეხმარებითო. მინისტრთა საბჭომ განიხილა ამ აგიტიციის საკითხი. „ტრიბუნას“ ცნობებით სამინისტრო დეკლარაციაში სალანდრა აღნიშნავს, თუ მთავრობას რის დათმობა შეუძლიან რკინის გზის მუშებისათვის.

**პარიზი.** სუფრაჟისტ ქალებმა კერძო სახლში კრება გამართეს. მოლაპარაკენი ქალებისთვის უფლებას მოითხოვდნენ. კრების გათავების შემდეგ მანიფესტაციის გამართვა ჰსურდათ. პოლიციამ გაჰფანტა.

**ტოკიო.** პრემიერობის კანდიდატად ვიკონტ ვიორუს ასახლებენ. იგი სამს ჯერ ყოფილა მინისტრად.

**როშეტის საქმე.**

**პარიზი.** როშეტის საქმის გამომძიებელი კომისია. ვექილი ბერნარი დარწმუნებულია, რომ ქორესის მიერ მიღებული წერილი როშეტის გაგზავნილია. მოწმეების დაკითხვა დასრულდა. კომისია მოხსენებას ადგენს. პალატაში 20 მარტს გაირჩევა იგი.

**აჯანყება ტრიპოლიში და ფესში.**

**ბენგაზი.** გენერალმა კანტორემ ცნობა მიიღო, მარაუას ოლქში არაბების დიდი რაზმები დგანანო. 11 მარტს კანტორე დაეცა მტერს, რომლის ძალაც 900 კაცს უდრიდა. არაბები სიმაღლეებზე გამაგრდნენ. იტალიელებმა ისინი გამოდევნეს და უკუაქციეს. ტყვედ წამოიყვანეს ბევრი არაბი. არაბებს მოუკლეს 90 კაცი და მრავალი დაუჭრეს. იტალიელებს ექვსი მეომარი დაუჭრეს.

**ფესი.** უკლარბის ახლო მდგომ ორ ბატალიონზე მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს. ფრანგებმა ისინი გაჰფანტეს. ფრანგებს მოუკლეს 5, დაუჭრეს—10.

**რუსეთი.**

**მოსკოვი.** ნიკოლაევის რკინის გზის სადგ. სიმკისთან საქონლის მატარებელი დაეჯახა მეორე საქონლის მატარებლის ბოლოს. 25 ცარიელი ვაგონი დაიმტვრა და 10 დაზარგული; ერთი კონდუქტორი მოკვდა, ერთი დაშავდა.

**ვლადივოსტოკი.** დანამდვილებით გამოირკვა, რომ სოფლის კანცელარიაზე თავდამცემი ექვსი კაცი ყოფილა, ყველას ნიღაბი ჰქონდა გაკეთებული. იმ დროს კანცელარიაში იმყოფებოდა 10 კაცი; ამათგან ექვსი მოჰკლეს, 2 სასიკვდილოდ დაჭრეს. გაიტაცეს 11,000 მანეთი, ბეჭდები, ბლანკები და სხვა.

**პეტერბურგი.** სამხედრო უწყებამ სამხედრო ჰაეროპლანების სამშენებლო გეგმა შეიმუშავა. გადაწყვეტილია, შეუკვეთონ 326 ჰაეროპლანი ჩვეულებრივი ტიპისა, 10 „ილია მურომეცის“ ტიპისა. პატარ ჰაეროპლანების რიცხვში 100 ჰაეროპლანი იქნება სიკორსკის სისტემისა, დანარჩენი—ფარმანისა, დიუპერდისენისა, მორანისა და ვუაზენის სისტემისა; ორ-ორი ჰაეროპლანი ახალი სისტემისა—გერმანული რუმპლერისა, ინგლისური სოფიჩისა, რუსული პოროხიკ კოვანკოსი. ამის გარდა შეკვეთილია ორი ჰაეროსტატი საფრანგეთში, და ერთი რუსეთში. იმედი აქვთ რომ ამ საქმეს მომავალ შემოდგომისთვის განახორციელებენ.

**კიევი.** გუბერნატორის დადგენილებით დემონსტრაციაში 13 მონაწილეს თვენახევრის სტუსაღო შეუცვალეს ერთი თვით, ექვს—თვიური სატუსაღო—სამი კვირით; რადგანაც ამ პირებმა შეინანეს თავიანთი საქციელი და პირობა დასდეს, კვლავ მონაწილეობას აღარ მივიღებთო. სხვების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილეს, რადგან ისინი უარჰყოფდნენ დემონსტრაციაში მონაწილეობას, რაც პოლიციის ჩვენებით დამტკიცებული იყო.

**მუშათა ცხოვრება.**

**რიგა.** „პროვოდნიკის“ ქარხანაში 3800 მუშა გაიფიცა.

**რიგა.** „პროვოდნიკის“ საკალოშო განყოფილება დაიხურა.

**პეტერბურგი.** ბოგდანოვის თამბაქოს ქარხნის საგილზო განყოფილებაში, სადაც 440 მუშაა, 15 ქალმა—მუშამ თავი ცუდად იგრძნო. ისინი გაგზავნეს საავადმყოფოში. „ტრეუგოლნიკის“ ქარხანაში მომხდარ მოწამლვის გამო შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ეს მოწამლვა არ არის გამოწვეული წარმოების პირობებით და სრულიად სხვა მიზეზებია აქაო.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირას, 16 მარტს ქ. დ. ს. დასის მიერ წარმოდგენილი იყო „სოფლის ექიმი“ დრ. 2 მოქ. თარ. მეგრელისა. პიესა შინაარსიანია, ჩვენი ხალხისათვის აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ექიმი ბრუნე (იმედაშვილი) სულითა და გულით ერთგულია ხალხისა, თავისი მოღვაწეობა სოფელში გადაიტანა. აქ მის ერთად-ერთ შვილს ხუნაგი შეეყრება. როდესაც შვილი აუტანელ მდგომარეობაშია მისი მამა—ექიმი თოვლის ზვავმა დააბანდა და დროზე ვერ მოუსწრო. ვერც ქალაქელმა ექიმებმა და ვერც ოპერაციამ ვერ გადაარჩინეს იგი სიკვდილს, რომელიც თან და თან ახლოვდება. ამ დროს შემოდის გლეხი რივაზა და სთხოვს ექიმ ბრუნეს წამომყე შვილი გადამირჩინეო. ბრუნეს ცოლი (ნ. ჩხეიძე) კი მოითხოვს, რომ შვილის უკანასკნელ წუთებს მამა უეჭველად დაესწროს. ექიმი აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდება: მასში მკაცრად იბრძვის ორი გრძნობა: მშობლიური სიყვარული და მოვალეობა:

— იცოდე, ასეთი ქცევით შენ ორსა ჰკლავ.— ეუბნება რივაზ. — შენს შვილს ვეღარ უშველი, ჩემის შვილა კი შეიძლებაო.

ბრუნე ცოლს მოიცილებს და გარედ გავარდება. ბავშვი ღამე გადაეცვლება. დილით ქ-ნი ბრუნე გარდაცვლილ ბავშვთან მამას აღარ უშვებს: იგი შენი აღარ არისო. მაგრამ ამბავი, რომ გლეხის შვილი გადარჩა გონს მოიყვანს ქ-ნ ბრუნეს. იგი მხურვალედ ეხვევა ქმარს და მწარე ქვითინით გულზე მოეშვება აუწერელი ტანჯვა, რომელმაც ცრემლებიც კი გაუშრო.

პიესა კარგად იყო დადგმული. კარგი ანსამბლით შეასრულეს, მხოლოდ ტონი დაბალი აიღეს.

აგრეთვე კარგად ჩაიარა ეპიზოდმა—„რომელი ერთი“; რომელსაც ჩვენი მკითხველები იცნობენ „სახალხო სახლი“-ს წარმოდგენის რეცენზიიდან. მხიარულად ჩაატარეს ყოვლად უშინაარსო ვოდევილი „ბებრის საქორწილო“. ქ-ნ ჯავახიშვილს შეიძლება ძლიერ მოსწონს შუი პლიუშის „ტუფლები“, ერთ საღამოში სხვა და სხვა წარმოდგენაში მაინც საჭიროა მათი შეცვლა. ხალხი საშუალოდ დაესწრო.

**მელანი.**

**ზუბალაშვილის სახალხო სახლი.** დღეს, 18 მარტს ქ-ნი მ. მდივნის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ვალ. გუნიას კომედია 4 მოქმ. „ალლუში“.

**გორი.** შაბათს, 8 მარტს, ადგილ. კლუბის დარბაზში, ქართული წარმოდგენა იყო დანიშნული. ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ფარდის ახდის წინ ბოქაულის თანაშემწემ მაზრის უფროსის სახელით განაცხადა, რომ წარმოდგენის გამართვა არ შეიძლება დღესაო, რადგან მეორე დღეს საეკლესიო უქმე იყო. წარმოდგენა 22 მარტისთვის გადაიდო.

7 მარტს ამავე კლუბში დანიშნული იყო ქართულ-რუსულ-სომხური წარმოდგენა საქალებო გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის სასარგებლოდ. სხვა და სხვა მიზეზების გამო წარმოდგენა მარტის ბოლო რიცხვებისათვის გადაიდო.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ დიდად პატივცემულ ექიმს კონდრატი არჩილის ძეს მხეიძეს, რომელმაც ოცი მანეთი შემოსწირა ტყიბულის ახლად გახსნილ უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს.

აგრეთვე დიდ მადლობას ვუძღვნი ქვემოთ მოხსენებულ პირთ, რომელთაც აღმოუჩინეს ტყიბულის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ერთდროული დახმარება: ქრისტეფორე ი. ანდრიადიმ (ბერძენია) 5 მ., ივანე ვას. კოპეიკინმა (ფოთელი) 5 მ. სამ-სამი მანეთი: მიხეილ კბილაძემ, მიხეილ ყუფარაძემ, მიხ ბოქორიშვილმა, სიმონ ნიჟარაძემ, ილია და ბესარიონ ფოფხაძეებმა. ორ-ორი მანეთი: სამსონ ჩ. ფოფხაძემ, იაკობ ფოფხაძემ, სამსონ მ. ფოფხაძემ, ვასილ ცირეკიძემ, ა. რაგავენკომ, ივანე დოლგოვმა. ივანე აბზიანიძემ 1 მ. 50 კ. თითო მანეთი: ვასილ ჯიშიაშვილმა, რაფაელ წერეთელმა, ისაკო ანდრიადიმ (ბერძენი). ანდილონა ანდრეადიმ, თედორე კალმახელიძემ, დიომიდე არსენიძემ, მიხეილ ენუქიძემ, სიმ. ანდ. ბისტრინიმ, გერასიმე არველაძემ, თეოფილე ქ ს რაშვილმა, სამსონ დვალამ, ამბაკო ბოქორიშვილმა, ვიქტორ ცინცაძემ, სილოვან ვეწაძემ, არტემ კვახაძემ, ფირან ბოქორიშვილმა, კოლია პატარაიამ, დიმიტრი ბაბუხადიამ, აპოლონ ფ. ბოქორიშვილმა, პლატონ გაბრიჩიძემ, „იქსიდან №“, ნოე ცირეკიძემ, კოტე კაველაშვილმა, არტემ ლ. გოგუაძემ, მიხეილ ქასრაშვილმა, გიორგი მართაშვილმა, კლემენტი არხიპოვმა, ნიკიფორე ჩხაიძემ, ვანო ნაფეტვარიძემ, გიორგი ცქიფურიშვილმა. ათ-ათი შაური: თეოფილე ცქიფურიშვილმა, ბიქტორ ქასრაშვილმა, არშაკ სალამბეგოვმა, მიხეილ ღვინერიამ, კოსტა ჯიქიამ, იორამ კობახიძემ, გიორგი ბრეგვაძემ, სინო ბაკურაძემ, ვლადიმერ ჯალაღანიამ, გერასიმე ბოქორიშვილმა, ილარიონ მიქიაშვილმა, იასონ სოფრომაძემ, ბესარიონ კობახიძემ, ილიკო ქანტურიძემ, ერმინე ჯიშიაშვილმა, იულო ჩხაიძემ, მინა ბოქორიშვილმა, ეფრემ სოფრომაძემ, პართენ მანავაძემ, თადეოზ მერკვილაძემ, პლატონ ბოქორიშვილმა, ალექსანდრე ფხალაძემ, მინა ხელაიამ, მეთოდე ბოქორიშვილმა, სილიბისტრო გვენეტაძე, აპოლონ ლ. ბოქორიშვილმა, რაჟდენ ცირეკიძე, სოკრატე ქასრაშვილმა, კოსტა რიჟაძემ, გერმანე ცნობილაძემ 30 კ., თითო აბაზი: გურგენიძემ, ვიქტორ აბრამიძემ, შენგელიამ, ზაქარია დვალმა. გიბრაძემ 15 კ., კირვალიძემ 15 კ. სულ 44 მან. 40 კ.

ტყიბულის სამკითხველოს გამგეობის მონდობილობით **ქრისტეფორე ანდრეადი.**

ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთის № 1138 მოთავსებული იყო, რომ „სიღნაღის საურთიერთო საზოგადოებიდან შემოვიდა შემოწირულება ილიას სახლის გამოსასყიდად 10 მ., არჩილ ჯორჯაძის ძეგლის სასარგებლოდ 10 მ. და იაკ. გოგებაშვილის ფონდის სასარგებლოდ 10 მ.“ ეს შემოწირულება გამოგზავნილია ნოტარიუს კონსტანტინე ივანეს ძე ჯაფარიძესაგან და არა საკრედიტო სიღნაღის საზოგადოებისაგან. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ეს შეცდომა შეასწოროთ და კონსტანტინე ივანეს ძე ჯაფარიძეს სახელით გამოაცხადოთ, როგორცა გვქონდა მოწერილი.

**კ. ტუაგაძე.**

თქვენ მიერ გამოგზავნილი, შორეულ აღმოსავლეთში მოგროვილი ორმოცი (40) მანეთი მივიღე, რისთვისაც დიდ მადლობას გწირავთ როგორც თქვენ, ისე ფულის გამომგზავნელთაც.

**ბიკენტი ლომთათიძე.**

# შემოწირულება

**ილია ჭავჭავაძისეულ სახლის გამოსასყიდად** რედაქციამ მიიღო ექიმ შალვა და მის მეუღლე ნინო კოვაჩაშვილებისაგან 25 მანეთი, ნაცვლად თ-დ ალექსანდრე სოლომონის ძის ჩოლოყაშვილის კუბოს გვირგვინით შემკობისა.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**




უმდაბლეს სასახლის იჯარადარი.
ფლაკონი 1 მ. 20 კ. 2 მ. იყიდება ყველგან.

# ჯანის გამოფიტვა

ჭლექისა, ათაშანგისა და სხვა ქრონიკულ სნეულებათაგან წარმოშობილი სიგამხდრე, ნევრასტენია და ნერვიული სნეულებანი, ხქესობრივი უილაჯობა, გულის სნეულებანი, მოხუცებულობის დაუძლურება ადვილად იკურნება პელას სპერმინით, რასაც ადასტურებს მწერლობაში გამოქვეყნებული მთელი ქვეყნის გამოჩენილ ექიმთა დაკვირვებანი.

პელას სპერმინი ერთად-ერთი ნამდვილი ნაცადი სპერმინია. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას **სპერმინი პელასი** და ხელი აიღოთ ყველა ყალბ მიმართულებაზე, როგორც ყოვლად უვარგის მიბაძულებაზე, რომელნიც არც შემადგენლობით, არც გავლენით პელას სპერმინთან საერთო არა აქვთ და ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნებელ შემადგენლობას შეიცავენ.

მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ წიგნი „სპერმინის სამკურნალო გავლენა“, ხოლო ვისაც მთელი ორგანოთერაპია აინტერესებს, 4 შვიდ-კაპეიკიან მარკის გამოგზავნით ეგზავნებათ ეხლა ხან გამოსული წიგნი „ორგანიზმის სამკურნალო ძალანი“.

სპერმინ-პელასი იშოვება ყველგან. Метцль и К-°. 8699. 1017

პროფესორ ექიმი პელი შვილებით ს. პ. ბ.
მის იმპერატ. უდიდებულეს. სასახ. მომწოდებელნი.

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეუხაპუნება კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბეგბუდოვი: 1—2 ს. გულის შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ზ ხანახავი: 10—11 ს. ბავშვთ. ქალებისა და ბავშვებისა.
გ. ე. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეგლარიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. შ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი აბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. ბავშვთა და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ბეგლარიანცი: 6—7 საათ.
ჩხრეკა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის! უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ძვირფასი.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინი დოქტ. ბ. ა. ნავასარდიანი.
1071

# სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
# გ. იშხანიანის
წიგნი (რუსულად), შემდეგის სათაურით
„ეკონომიური და საზოგადოებრივი საფუძველნი სომეხ-ქართველთა ანტაგონიზმისა“.
„გუტენბერგ“-ის წიგნის მაღაზიის გამოცემა, ფასი ორი აბაზი, წიგნი 96 გვერდიანია. 1118




გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული
1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული ® ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით, პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.
ფასი 1 მანეთი.

# საჭიროა მიმა

უხვის რძით,
ორი თვის ბავშვის საკვებად.
მიხეილის ქ. სახლი № 56, ექიმის ბინა. 1116

ბაქოში
# ვექილი მიხეილ ნასიძე
სცხოვრობს კარანტინის ქუჩაზედ, სახლი № 105.
მიიღებს სასამართლო საქმეების გამო ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე. 176

# ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ველიამინოვისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.
ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალოდ ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ

# ვივიღეთ
ზაფხულის სეზონის ყველანაირი
✦ ფეხსაცმელი ✦
პეტერბურგისა და ვარშავის მექანიკური საუკეთესო ფირმების ნაწარმოები. ფასები საქარხნოა აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები.
პატივისცემით თომა ჯანყარაშვილი მუხრანის ქ. № 2. 172.

ХУДОЖЕСТВЕННАЯ ФОТО-ЦИНКОГРАФІЯ Т-ва С. СОГОМОНЯНЪ и А. СЮТЧЬЯНЪ ТИФЛИСЪ ПУШК. ПАССАЖЪ
КЛИШЕ на цинкѣ, гальвано и эмалевое на мѣди и на латуни—для печати и для тисненія. КЛИШЕ
Капитальное переустройство всѣхъ отдѣловъ.
Ручной способъ изготовленія замѣненъ послѣдними усовершенствованіями. Поставлены травильныя и фрезеровальныя машины, приводимыя въ движеніе электромоторами, дающія возможность за 2—3 часа изготовить клише. Ретушь неясныхъ оригиналовъ. Съ установленіемъ механическаго способа цѣны значительно понижены.
Тифлисъ—Пушкинскій пассажъ, телеф. № 9. 42.
Ростовъ н/Д. Темерницкая № 125, „ „ № 39. 07.
1102

თეგზის მრეწველნი
# ძმ. ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 19.
ტელეფონი № 712.

# განყოფილება ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ძვეშ, საკუთარ სახლში.
იყიდება იმავე ხარისხის საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

# მაღაზია „ექსელსი“-ი
საკ. სახ. ა. ე. და ა. დ. აკოფჯანოვებისა და ამხ.
ტფილისი, გოლოვინის პროსპ., სახლი მანთაშევისა, საზოგადოების საკრებულოს ქვეშ. ტელეფონი № 696.
რადგანაც მივიღეთ დიდ-ძალი შეკერილი რჩეული ტანისამოსი კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის
აღდგომის მოახლოვებისა გამო დავნიშნეთ
☛ უდიდესი იაფი ვაჭრობა ☚
მეტის-მეტად იაფად. გარდა ამისა მიღებული გვაქვს
დიდ-ძალი რჩეული საქონელი,
რუსეთული და საზღვარ-გარეთული საქონელი, ყოველ-გვარ შეკვეთისათვის, რომელიც გამოცდილ გამომჭრელისა მეთვალყურეობით სრულდება.
საშური შეკვეთას 24 საათის განმავლობაში ვასრულებთ. საქონლისა სიაფეში და აურაცხელ რჩეულ საქონლის ღირსებაში გთხოვთ თვითონ დარწმუნდეთ.
ფასები შეუვაჭრებლად.
1120